ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N84

2018 წლის 10 მაისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N82 -ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 (ორი) წლის ვადით (ს/კ 20.12.03.589) ავტოპარკინგის მოწყობის მიზნით ფ/პ ოთარ რუამეს.

2. ქ. ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N82 -ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით (ს/კ 20.12.03.589) წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი